პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 იანვარი პარასკევი 1970 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 18 (14622)

ადამიანები და მექანიზმები

ჰიათორა. (საკ. კორ.). ლენინის ორდენოსანი მარგანეცის ტრუსტის საწარმოებში შ. ი. კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა პირველმა შეასრულა ხუთწლედის დავალება, პროდუქციის რეალიზაციით სამშობლოს მისცა სამ მილიონ მანეთზე მეტი მოგება. კალინინელებმა 1971 წლის ანგარიშში მეტალურგიული ქარხნებს უკვე გაუგზავნეს ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მადანი.

ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა მადნის ღია სამუშაოებით მომპოვებელმა უბანმა, რომელსაც შ. კაპანაძე ხელმძღვანელობს. უბნის კოლექტივმა სამ წელიწადსა და რვა თვეში შეასრულა ხუთწლიანი გეგმა.

აქ მუშაობენ მძლავრი ექსკავატორები, ბულდოზერები, თვითსაცლელი ავტომანქანები. ტექნიკას დაუფლებული ადამიანები მექანიზმებს სრული დატვირთვით ამუშავებენ, ლენინურ შრომითს ვახტზე დანან და ყოველდღიურ დავალებებს 120-130 პროცენტით ასრულებენ.

ხუთწლედი — ვადაზე ადრე

რეფორმის სიკეთე

თბილისი. (საკ. კორ.). თამბაქოს მეორე ფაბრიკა (დირექტორი ა. კეკელი.) 1966 წლის მეორე ნახევრიდან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდით მუშაობს. განვლილ პერიოდში საწარმოში სისტემატურად უმჯობესდება ეკონომიური მაჩვენებლები, შარშან პროდუქციის რეალიზაციის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. 1966 წელთან შედარებით ზრდამ 11,2 პროცენტი შეადგინა, ხოლო მოგების გეგმამ 13,2 პროცენტს გადააჭარბა. შესაბამისად გაიზარდა წარმოების გაფართოების, მუშათა პრემირების და კულტურულ ღონისძიებათა ფონდები.

წახალისების ფონდებიდან გაცემული პრემიების რაოდენობა ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ საშუალოდ გაიზარდა 2-ჯერ, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეებისა — 24-25 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით დაიწყო საიუბილეო წელი. იანვრის 20 დღის დავალება 106,6 პროცენტით გაანაღდა და მომხმარებელს გეგმის გადამეტებით დიდძალი მაღალხარისხოვანი სიგარეტი მიაწოდა.

შრომაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორი ზეინალი ნ. ძიძიგური, მექანიკოსები კ. ბაიდაური, თ. ელბაქიძე, გ. ბეგიაშვილი, ქ. წიკლაური და ი. სირსოვი.

საწარმოს გადაწყვეტილი აქვს ვადამდე შეასრულოს ხუთწლედის დავალება და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი.

ფაბრიკის ახალი პროდუქცია

წულუკიძე. (საკ. კორ.). აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა გასულ წელს გადაჭარბებით შეასრულა, როგორც საწარმოო გეგმები, ისე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები და 667 ათასი მანეთით გადაამეტა რეალიზაციის მოცულობის დავალებას.

ფეიერვერკმა აღმავლობით დაიწყეს ახალი სამეურნეო წელი. გაზრდილი საწარმოო პროგრამის მიუხედავად, ფაბრიკა იანვარში ყოველდღიურ დავალებებს 103-105 პროცენტით ასრულებს. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი. პირველი ხარისხის ნაგრეხი აბრეშუმის ძაფის გამოშვებამ გეგმით გათვალისწინებულს 13 პროცენტით გადააჭარბა, ხოლო ხამი აბრეშუმის ძაფის გამოშვებამ — 5 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით აითვისა ვისკოზური და კაპრონის ძაფის შერწყმა და ამ გზით სავსებით ახალი სახის ძაფის წარმოება. ახალი ასორტიმენტის ხელოვნური აბრეშუმის ძაფი, რომლის გამოშვება აქ 10 იანვრიდან დაიწყეს, პირველად მთელს რესპუბლიკაში და მას დიდი გამოყენება ეძნება აბრეშუმის საქსოვ მრეწველობაში.

წელს ფაბრიკა ამ ახალი ასორტიმენტის 30 ტონა ძაფს გამოუშვებს.

ᲛᲐᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲔ

ᲘᲜᲭᲘᲜᲔᲠᲘ ᲛᲨᲝᲒᲚᲘᲣᲠ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲨᲘ

ბათუმის სამკერვალო ფაბრიკაში წლების მანძილზე მუყაითად შრომობდა გულიკო ხმელიძე. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდას სწავლის განგრძობის სურვილი ჰქონდა. უმაღლეს სასწავლებელში რომ შევიდა, ფაბრიკის ხელმძღვანელობამ, როგორც მოწინავეს, საწარმოს სტიპენდია დაუნიშნა. გ. ხმელიძე ინჟინრის დიპლომით დაუბრუნდა მშობლიურ კოლექტივს და ახლა ფაბრიკაში ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია.

სურათზე: ფაბრიკის ინჟინერი გ. ხმელიძე.

ფოტო შ. მითაიშვილისა.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კონფერენციაზე, რომელიც ამ ერთი თვის წინათ გაიმართა, გაისმოდა ქების სიტყვები ჭუთაისის ლითოფონის ქარხნის მისამართით. მისმა შრომისმოყვარე კოლექტივმა გეგმების შესრულების სტაბილურობას მიაღწია და თავს ართმევს ქარხნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ ყველა სიძნელეს. განსაკუთრებით ღირსსახსოვარი იყო ჭუთაისელი ლითოფონელებისათვის ხუთწლედის მეოთხე წელი, რომლის მესამე კვარტალის მუშაობის შედეგებით მათ სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს.

და თუ წლების მანძილზე რამორჩენილი ეს საწარმო ახლა ქვეყნის მოწინავე შრომითი კოლექტივების რიგებშია, ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ქარხნის პროფკავშირულ ორგანიზაციას. იგი სულ უფრო აძლიერებს თავის გავლენას სამეურნეო მოღვაწეობაზე, აქტიურად იბრძვის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დასანერგავად, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობისათვის.

ეს ფაქტი გამონაკლისი არ არის.

რესპუბლიკის ბევრმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ და სამეურნეო ხელმძღვანელმა იხელმძღვანელა ახალ პირობებში ახლებურად მუშაობა. შორს წაგვიყვანს იმ პროფკავშირული ორგანიზაციების ჩამოთვლა, რომლებიც წარმატებით იყენებენ წარმოების მართვაში მშრომელთა მიზიდვის მრავალფეროვან ფორმებს, ამაღლებენ მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების, კოლექტიურ ხელშეკრულებათა, მუშათა კრებების მნიშვნელობას, განამტკიცებენ მასებთან კავშირს.

ბევრ პატიოსნულ თაოსნობას, რომლებიც ლენინური იუბილესათვის მზადების პერიოდში დაიბადა, ფართოდ დაუჭირეს მხარი პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. ტყიბულის ქვანახშირის შახტებში ფართოდ გავრცელდა საწმენდი სანგრევის იმ ბრიგადის მუშაობის გამოცდილება, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ლანჩავა მეთაურობს, აგრეთვე გვირაბგამყვანთა ბრიგადისა, რომელსაც ვ. კუბლაშვილი უდგას სათავეში. მთელ რესპუბლიკაში ცნობილი გახდა რუსთაველი მძახავის ე. კოწიწაშვილის შესანიშნავი თაოსნობა — ეფექტურად გამოიყენონ სამუშაო დროის ყოველი წუთი, ეკონომიურად ხარჯონ ნედლეული და მასალები.

კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა ჩვენს წინაშე სულ უფრო რთულ ამოცანებსა და პრობლემებს აყენებს. ამიტომ, როგორც სკკპ XXIII ყრილობამ მიგვითითა, თანამედროვე ეტაპზე ყველა კოლექტივსა და თვითეულ მუშაკს მოეთხოვება გააძლიეროს პასუხისმგებლობა, განამტკიცოს დისციპლინა.

მართალია, სულ უფრო მცირდება იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც სახელმწიფო დავალებებს ვერ ასრულებენ, მაგრამ ამასთანავე ყველგან სწორად და ეფექტიანად როდი იყენებენ შესაძლებლობებს, რომლებსაც მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდები სახავს. მაგალითად, უკანასკნელ ხანებში რუსთავის ქიმიურმა კომბინატმა სხვადასხვა მიზეზით დათმო პოზიციები, რომლებიც ადრე დაძაბული შრომით მოიპოვა. და ამ მიზეზებს შორის მცირე როლი როდი ეკუთვნის შრომელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და ახსნა-განმარტებითი მუშაობის შესუსტებას, შრომისა და საწარმოო დისციპლინის გაუარესებას, ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევას, საწარმოს არადამაკმაყოფილებელ მომარაგებას ნედლეულით, ენერგორესურსებით, რკინიგზის ვაგონებით, ავრეგატებისა და მოწყობილობათა არადროულ, უხარისხო რემონტს.

სამწუხაროდ, მანქანათსამშენებლო, მეტალურგიული, კვების მრეწველობისა და სხვა დარგების მთელი რიგი საწარმოები ვერ ასრულებენ ზოგიერთი სახეობის პროდუქციის გამოშვების დავალებებს, რაც მნიშვნელოვანწილად პროფკავშირული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელ მუშაობას უნდა მიეწეროს. ადგილი აქვს ფორმალიზმს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში, ხუსტად მუშაობენ შეჯიბრების შედეგების საჯაროობისა და ქმედითობისათვის, მთლიანად ვერ სრულდება საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებანი.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის პროფკავშირებს განსაკუთრებული როლი ეკუთვნით. მშრომელთა ეს ყველაზე მასობრივი ორგანიზაციები პარტიის დასაყრდენს, კომუნიზმის ნამდვილ სკოლას წარმოადგენენ.

პროფკავშირთა წინაშე დასახული დიდი ამოცანების წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია მათი ორგანიზატორული მუშაობის დონეზე, მასებთან კავშირის შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებაზე. პროფესიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საწინდარია ყოველდღიური, პარტიული ხელმძღვანელობა. პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან ღრმად ჩასწვდნენ პროფკავშირული მუშაობის შინაარსს, მხედველობიდან არ გამორჩეთ მათი მრავალფეროვანი მოღვაწეობის არც ერთი უბანი, ყოველმხრივ წაახალისონ მათი თვითმოქმედება, ინიციატივა, ახალ პირობებში შეძენილი ძვირფასი გამოცდილება.

საიუბილეო შრომითმა ვახტმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა მასების შემოქმედებითი აქტივობა. პროფკავშირების ამოცანაა მიაღწიონ მასების საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობას, უკეთ გამოიყენონ მოწინავე კოლექტივების გამოცდილება.

პროფკავშირები უნდა ესწრაფოდნენ იმას, რომ თვითეულ შრომის კოლექტივში შექმნან შემოქმედებითი ატმოსფერო, უზრუნველყონ კარგი შრომითი განწყობილება. ეს განწყობილება კი უალიბდება ბევრი ელემენტისაგან, მათ შორის კეთილი სიტყვისა და სათანადო საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობებისაგან. კარგი მუშური განწყობილება ის მორალური ფაქტორია, რომელიც, შეიძლება ითქვას, დიდ მატერიალურ ძალად იქცევა. ამიტომ პროფკავშირები ვალდებული არიან გააძლიერონ კონტროლი წარმოებაში შრომის დაცვისადმი, სანიტარო გეგმების შესრულებისადმი, საცხოვრებელი ფართობის განაწილებისადმი, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობისადმი, მშრომელთა სამედიცინო და კულტურული მომსახურებისადმი.

საქართველოს პროფსაბჭო, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს მათთვის მინიჭებული ფართო უფლებების სწორად, სრულად გამოყენებაში, საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე მიცემულ განაწესთა შესრულებაში.

ჩვენ განვითარების ისეთ ეტაპში შევედით, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, რომელიც ნებას აღარ გვაძლევს ვიმუშაოთ ძველებურად, იგი მოითხოვს ახალ მეთოდებსა და გადაწყვეტილებებს. პარტიის ეს მითითება ეხება ყველა მასობრივ ორგანიზაციასა და შრომითს კოლექტივს, თვითეულ საბჭოთა ადამიანს.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

თბილისში გრძელდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლენინური კითხვები, რომლებიც მოაწყეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციამ.

22 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ქალაქის მშრომელები, თბილისის გარნიზონის ნაწილების წარმომადგენლები. ლექცია **„ვ. ი. ლენინი პროფკავშირების როლის შესახებ მშრომელთა მატერიალური დაინტერესებისა და უფლებების დაცვაში“** გააკეთა საქართველოს სსრ პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **შ. დ. კოკანემ.**

ლექცია დიდი ინტერესით მოისმინეს. (საქდისი).

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲚᲬᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

22 იანვარს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის დამთვლელთა ნახევარმილიონზე მეტმა არმიამ დაამთავრა მუშაობა. საკდესის კორესპონდენტთან ნ. ველიკანოვთან საუბარში სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის სამმართველოს უფროსის მოადგილემ **გ. მ. მაქსიმოვმა** თქვა, რომ მცხოვრებთა დიდი აღწერა ზუსტად და ორგანიზებულად შესრულდა.

თუმცა აღწერამ რვა დღეს გასტანა, მოსახლეობის აღწერა წარმოებდა აგგილობრივი დროით 14 იანვრის ღამის 12 საათისათვის მდგომარეობის მიხედვით. ამ ღამეს აღწერეს მოქალაქენი შორეული მიმოსვლის 1.180 მატარებელში, აეროპორტებში, ვაგზლებში, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებში, საავტომობილო სადგურებში.

ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აღწერამ მთელი მოსახლეობა მოიცვა. და თუ ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღწერამ წარმატებით ჩაიარა, ეს შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ ყოველმხრივ დაგვეხმარნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე თვითონ მოქალაქეები, რომლებიც უაღრესად გულთბილად და თავაზიანად ხვდებოდნენ დამთვლელებს.

24-დან 29 იანვრამდე ინსტრუქტორ-კონტროლიორები დამთვლელებთან ერთად შესამოწმებლად მოიკლიან უბნებს, რათა შეამოწმონ რამდენად სწორად შესრულდა სამუშაო. ქალაქებში შემოვლიან სახლების ნახევარს, რომლებსაც მექანიკურად შეარჩევენ, ხოლო სოფლებში შეამოწმებენ საარჩევნო უბნების 50 პროცენტის ყველა საცხოვრებელ შენობას.

შემდეგ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები უნდა შეუდგნენ აღწერის შედეგების დამუშავებას. წინასწარ ცნობებს — მოსახლეობის საერთო რიცხვის შესახებ, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის, ქალებისა და მამაკაცების რიცხვის შესახებ — სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მოგვცემს უკვე მიმდინარე წლის აპრილის მეორე დეკადაში. წლის დამლევისათვის კი შეჯამდება აღწერის მთელი ძირითადი პროგრამა.

აღწერის მონაცემები, თქვა დასასრულ გ. მ. მაქსიმოვმა, ასახავენ ჩვენი ქვეყნის მიღწევებს ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში და მის საფუძველზე შედგება მომდინარე და პერსპექტიული სახალხო-სამეურნეო გეგმები.

ᲕᲘ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

21 იანვარს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში გაიხსნა ახალი ექსპოზიცია „ვ. ი. ლენინი და საქართველო“. იგი ეძღვნება ბელადის დაბადების 100 წლისთავს. აქ წარმოდგენილია 200 სხვადასხვა დოკუმენტი, ფოტოპორტრეტი, წერილი, დეპეშა, მითითებანი ვ. ი. ლენინის იდეურ მემკვიდრეობაზე, რომლებიც გვიჩვენებენ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ურთიერთობას ქართველ რევოლუციონერებთან, საქართველოს მშრომელებთან, მის მამობრივ ზრუნვას საბჭოთა საქართველოს შექმნისა და განვითარებისათვის. 50 დოკუმენტი პირველადაა ექსპონირებული.

ვ. ი. ლენინს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან. პირადად იცნობდა ბევრ ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკს, რომლებთანაც იხლო ურთიერთობა და მეგობრობა ჰქონდა. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში დიდი ყურადღება ეთმობა ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და საქართველოს. ამის მეოხებით ქართველი ბოლშევიკები ხშირად იღებდნენ ცნობებს პარტიაში საქმის ვითარების შესახებ და საქმიან რჩევა-დარიგებას უშუალოდ ვ. ი. ლენინისაგან.

მუზეუმის ექსპოზიციაშია ვ. ი. ლენინის 1894 წლის 30 მაისის (11 ივნისი), წერილი პ. ბ. მასლოვისადმი, რომელშიც იგი პირველად ახსენებს თბილისს. აქ წარმოდგენილია ქართველ რევოლუციონერებთან ვლადიმერ ილიას ძის ურთიერთობის სქემა, ი. ბ. სტალინთან, ვ. ზ. ყეცხოველთან, მ. ვ. ცხაკაიასთან, ს. გ. შაუმიანთან, გ. კ. ორჯონიკიძესთან, ბ. ა. ჯაფარიძესთან, ა. ს. ენუქიძესთან, მ. გ. ტოროშელიძესთან, ფ. ი. მახარაძესთან, ნ. დ. ყიფშიძესთან და სხვა რევოლუციურ მოღვაწეებთან ვ. ი. ლენინის მიწერ-მოწერის ფოტოპორტრეტები, ლენინის წერილების ფოტოპირებს ახლავს ქართველ ბოლშევიკთა წერილები ილიჩისადმი.

დიდ მთამბეჭდილებას ახდენს თვალსაჩინო სქემა, რომელიც აჩვენებს საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ურთიერთობას და მიწერ-მოწერას ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მუშებთან, გლეხებთან და წითელარმიელებთან, რესპუბლიკის შორეული კუთხეებიდან ძაფები იბმება ვ. ი. ლენინის კაბინეტამდე კრემლში. საყვარელ ბელადს წერენ ლანჩხუთის კომუნისტები, ფოილოს რკინიგზის ხიდის ამშენებლები. მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, მოსწავლეები. ავჭალის შუშის ქარხნის კოლექტივი, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს, აცნობებს მას, რომ ლენინი არჩეულია ამ საწარმოს საპატიო ოსტატ-მეშუშედ. აქვეა მისთვის გაგზავნილი მოწმობის ბარი.

ინტერესით აკვირდებიან დამთვალიერებლები ისტორიულ დოკუმენტს — კავკასიის კომუნისტებისადმი ვ. ი. ლენინის 1921 წლის 14 აპრილის წერილს ფოტოპირს, რომელშიც მოცემულია მხარეში სოციალისტური მშენებლობის გაშლილი პროგრამა.

ბევრი ექსპონატი მოგვითხრობს ლენინის ანდერძის განხორციელებაზე, საქართველოში პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაზე, მისი ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო გაფურჩქვნაზე.

მუზეუმის ახალი ექსპოზიციის გახსნაზე მოვიდნენ პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, ლენინური პრემიის ლაურეატები.

ექსპოზიცია გახსნა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ა. კ. კელენჯერიძემ. მოეწყო პირველი ექსკურსია მუზეუმის ახალ დარბაზში. ახსნა-განმარტებას იძლეოდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ვ. ესაიაშვილი. (საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲥᲡᲐᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ „ᲕᲘ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

კიევი, 21 იანვარი. (საკდესი). დღეს მინსკიდან საბჭოთა უკრაინის დედაქალაქში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ფედერალური კრების თავმჯდომარე **დალიბორ განესი.** დელეგაციასთან ერთად კიევში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **ვლადიმერ კოუცკი.**

ბორისპოლის აეროპორტში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით იყო მორთული, სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ი. ვ. სპირიდონოვი,** უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ს. ე. სტეცენკო,** სხვა ოფიციალური პირნი. შეხვედრთა შორის იყვნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გენერალური კონსული კიევში **იან მალეკოვიჩი,** ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს თანამშრომლები.

ჩეხოსლოვაკიელ სტუმრებს გულთბილად მიესალმა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ს. ე. სტეცენკო.** სამასუხო სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა დალიბორ განესმა.

იმავე დღეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების დელეგაციის წევრები ეწვივნენ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილეს ს. ე. სტეცენკოს.

საუბარში მონაწილეობდნენ ი. ვ. სპირიდონოვი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვლადიმერ კოუცკი.

კიევი, 21 იანვარი. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **პ. ე. შელესტი** შეხვდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ფედერალური კრების თავმჯდომარე **დალიბორ განესი.**

გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროს **პ. ე. შელესტმა** სტუმრებს უამბო, თუ რა წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის მშრომელებმა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებაში. **დალიბორ განესმა** და ჩეხიის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ **ევგენ ერბანმა** გაუზიარეს შთაბეჭდილებანი საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობის შესახებ. უსურვეს უკრაინელ ხალხს შემდგომი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ვ. შჩერბიცი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე **ი. ვ. სპირიდონოვი,** სხვა ოფიციალური პირები.

როგორც ძვირფას სტუმრებს, ისე შეხვდნენ რესპუბლიკის მოწინავე ქარხნის „კრასნი ექსკავატორის“ მუშა-მოსამსახურენი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების დელეგაციის წევრებს. ქარხნის დამთვალიერების შემდეგ კულტურის სასახლეში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის მიტინგი. მიტინგზე გამოსულებმა ილაპარაკეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის ურღვევი მეგობრობისა და ძმური კავშირის, ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ.

მიტინგზე გამოვიდა ჩეხიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე **ევგენ ერბანი,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

□ □

120 მილიარდი

ბრატსკი, (საკდესის კორ.). ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის ჰიდროელექტროსადგურმა დაამთავრა 120 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგიის გამომუშავება. ეს ელექტროენერგია წარმოებულია ელექტროსადგურის მუშაობის წლებში.

ბრატსკის ენერგეტიკოსებმა გადაწყვიტეს 22 აპრილისათვის ქვეყანას მისცენ კიდევ 3,4 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაც 900 მილიონი კილოვატსაათით აღემატება ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივის მიერ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებას.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ“-322

21 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-322“. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ი. ქადაგიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ამხ. გრიგოლ ილიას-ძე **ქადაგიძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ბ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. ბაბაბაძე

თბილისი, 1970 წლის 22 იანვარი.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ДЕДОВСКАЯ ПРАВДА

ერთიანი ბიბლიოთეკა

აზრთა ნაყოფიერი გაზიარება

საერთაშორისო თეორიული კონფერენცია მოსკოვში

საერთაშორისო თეორიულ კონფერენციაზე — „ლენინიზმის როლის ზრდა თანამედროვე ეპოქაში და ანტიკომუნიზმის კრიტიკა“ — მიმდინარეობს მუშაობა სექციებში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო მეშვეობა მორაობის ინსტიტუტში მიმდინარეობს პირველი სექციის სხდომები თემაზე „მსოფლიო რევოლუციური პროცესი და ბრძოლა ანტიკომუნიზმის, როგორც იმპერიალიზმის მთავარი იდეურ-პოლიტიკური იარაღის, წინააღმდეგ“.

იმპერიალიზმის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლის დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ანტიკომუნისტური დივერსიების მექანიზმის ბოლებას, აგრეთვე ანტიკომუნიზმის სხვადასხვა ვარიანტის წვრილბურჟუაზიული ვარიანტის კრიტიკას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები პოლონელმა მეცნიერმა, „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ ინსტიტუტის დირექტორმა **ი. კოლინსკიმ, ა. ა. ისკენდეროვმა, ვ. დ. გრანოვმა, ვ. ბ. ენიაკინსკიმ,** ჟურნალ „მარქსისტული ბიულეტენის“ (გერმანიის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში) რედაქტორმა **რ. შტაინგერვალდმა.**

ლენინის გორაზე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში მუშაობდნენ მეორე და მეოთხე სექციები, რომლებიც იხილავდნენ ანტიკომუნიზმის რეაქციული ეკონომიური კონცეფციებისა და ფილოსოფიურ-სოციოლოგიური საფუძვლების კრიტიკის პრობლემებს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ა. ბ. მილეიკოვსკის** და ბულგარეთის წარმომადგენლის **ტ. ტრენდაფილოვის** მოხსენებებში ნაჩვენები იყო იმპერიალიზმის ლენინური თეორიის ბურჟუაზიული „კრიტიკის“ გაკოტრება, კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“ თეორიების მეცნიერული და პოლიტიკური უსაფუძვლობა. საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურისა და თანამედროვე იდეოლოგიურ დისკუსიებში მისი ასახვის საკითხს მიუძღვნა მოხსენება ქალაქ კლუჟის (რუმინეთი) უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის კათედრის გამგე **ნ. კალოშმა.**

„დეპროლეტარიზაციის“ ანტიწარკლასტული თეორიებისა და მემარცხენე რადიკალური კონცეფციების კრიტიკა რევოლუციური პროცესის ლენინური თეორიის შუქზე იყო **ვ. ვ. ლიუბიმოვასა** და **ვ. ა. ჩეპრაკოვის** გამოსვლის თემა.

მეოთხე სექციაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ **კ. დოქტურმა** თავის მოხსენებაში კრიტიკულად გააანალიზა „ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორია, რომელსაც თანამედროვე ანტიკომუნისტები უპირისპირებენ სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიას.

საბჭოთა მეცნიერებმა **დ. ვ. ერმოლენკომ** და **ე. დ. მოდრეინსკაიამ** თავიანთი მოხსენებანი მიუძღვნეს საზოგადოებრივი განვითარების ლენინური თეორიის უახლესი რეაქციული ფილოსოფიკაციის მხილებას. ჩეხოსლოვაკიელმა მეცნიერებმა **რ. რიხტამ** და **ი. ფილიპეკმა** ამბილის ბეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ბურჟუაზიული კონცეფციების უსაფუძვლობა.

ისტორიული შემეცნების პარტიულობის პრობლემები და იდეოლოგიური და პოლიტიკური პლურალიზმის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა იყო **ნ. ირიხანაკოვისა** და **ა. კოფაროვის** მოხსენებების საგანი (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა).

ბესაშე სექციაში სხდომებზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ **კ. დრეტურმა** თავის მოხსენებაში კრიტიკულად გააანალიზა „ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორია, რომელსაც თანამედროვე ანტიკომუნისტები უპირისპირებენ სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიას.

საბჭოთა მეცნიერებმა **დ. ვ. ერმოლენკომ** და **ე. დ. მოდრეინსკაიამ** თავიანთი მოხსენებანი მიუძღვნეს საზოგადოებრივი განვითარების ლენინური თეორიის უახლესი რეაქციული ფილოსოფიკაციის მხილებას. ჩეხოსლოვაკიელმა მეცნიერებმა **რ. რიხტამ** და **ი. ფილიპეკმა** ამბილის ბეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ბურჟუაზიული კონცეფციების უსაფუძვლობა.

ისტორიული შემეცნების პარტიულობის პრობლემები და იდეოლოგიური და პოლიტიკური პლურალიზმის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა იყო **ნ. ირიხანაკოვისა** და **ა. კოფაროვის** მოხსენებების საგანი (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა).

ბესაშე სექციაში სხდომებზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ **კ. დოქტურმა** თავის მოხსენებაში კრიტიკულად გააანალიზა „ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორია, რომელსაც თანამედროვე ანტიკომუნისტები უპირისპირებენ სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიას.

საბჭოთა მეცნიერებმა **ც. ა. სტეფანიანმა, გ. ფ. კიმმა, ფ. ი. ზაბაროვმა,** აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა **რ. რატმანმა** აღნიშნეს, რომ ანტიკომუნიზმი იმპერიალიზმის ძირითადი იარაღია განვითარებულ კვეყნებში რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში მუშაობს მეხუთე სექცია, სადაც ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შუქზე იხილავენ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის პრობლემებს.

ამ ინსტიტუტის დირექტორმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ვ. მ. ჩხიკვაძემ** შესავალ სიტყვაში ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის პრობლემები შეისწავლონ ანტიკომუნისტთა შეტევების გაძლიერების ვითარებაში. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ბეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორმა **ა. ლოპატკამ** მოხსენება მიუძღვნა სოციალისტური დემოკრატიის სისტემაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური კონცეფციების მხილებას. საბჭოთა მეცნიერებმა **ვ. ა. თუმანოვმა, ნ. მ. კაიზეროვმა, ა. კ. ბელიხმა, რ. ო. ხალფინამ,** ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ **პ. გინდევმა,** რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორმა **ა. პინზარუმ** ილუსტრაციას თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში სახელმწიფოსა და სამართლის, დემოკრატიისა და პუმანიზმის თეორიის აქტუალურ პრობლემებზე.

ისტორიული მეცნიერების დარგში ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებისადმი მიძღვნილი მეექვსე სექციის სხდომა გაახსნა აკადემიკოსმა **ე. მ. ჟუკოვმა.** მან აღნიშნა ისტორიკოს მარქსისტთა დიდმნიშვნელოვანი როლი ბურჟუაზიულ მეცნიერებათა რეაქციული შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ცენტრალური პარტიული სკოლის დირექტორის მოადგილემ **ი. გოლენბიოვსკიმ** კრიტიკულად გააანალიზა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკაციის მთავარი მიმართულებანი. ანტიკომუნისტიკური პროპაგანდის არსებანში უნგრეთის 1956 წლის კონტრრევოლუციის გამოყენების ზოგიერთ ასპექტზე ილუსტრაციას უნგრეთის კულტურისა და განათლების ნინისტრის მოადგილემ **ი. მოლნარმა.**

რეაქციული ისტორიოგრაფიის კრიტიკის პრობლემებს მიეძღვნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ვ. ა. ეილინის, ვ. ი. ხალოვის,** ბულგარეთის წარმომადგენლის **კ. ვასილიევისა** და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლის **ვ. კრალის** გამოსვლები. (საკდესი).

სსრ კავშირი ოსაკის გამოფენაზე

ოსაკაში „ექსპო-70“-ის გახსნამდე ორ თვეზე ნაკლები დარჩა. უდიდეს მსოფლიო გამოფენას — მასში მონაწილეობს დაახლოებით 70 სახელმწიფო — ქალაქის ხელისუფლებმა დაუთმეს პატარა თანამედროვე ქალაქის ფართობის ტოლი ტერიტორია — 330 ჰექტარი.

„ექსპო-70“-ის ერთ-ერთი მთავარი ნაგებობა, რომელიც უკვე ახლა იპყრობს იაპონელთა ყურადღებას, ჩვენი სამშობლოს პავილიონია. საბჭოთა ექსპოზიციის მატერიალურ საფუძველს შეადგენენ ყველაზე თანამედროვე მანქანები, ჩარხები და აპარატები, მათ შორის საანგარიშო-ამოსახსნელი მოწყობილობანი, ელექტრონული და კოსმოსური ტექნიკა. უკვე ამენებული და მშენებლობის სტადიაში მყოფი უდიდესი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მაკეტები. ექსპონატებს შორისაა დიორამები, ფერწერის, ქანდაკების, გამოყენებითი და დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოებები, სამუზეუმო ღირებულებანი.

დიდია წიგნების განყოფილება. რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის ნაწარმოებები, სოციალურ-ეკონომიური, სამეცნიერო-ტექნიკური, პოლიტიკური, ისტორიული, ბიბლიოგრაფიული, საცნობარო და ბევრი სხვა გამოცემა — ასეთია პოლიგრაფიული მრეწველობის ექსპონატების არასრული ნუსხა.

სსრ კავშირის პავილიონში გამოფენის მუშაობის დროს ყოველდღე ეჩვენებენ მოკლემეტრაჟიან ფილმებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტი აწყობს არჩევს დოკუმენტურ-ქრონიკალურ ფირებს, რომლებიც ასახავენ წარმატებებს, რომლებიც ჩვენმა სოციალისტურმა სახელმწიფომ მოიპოვა უკანასკნელ წლებში ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის, ხელოვნების, განათლების დარგში.

ჩვენი ხელოვნების განვითარებისა და მიღწევების გაცნობა შეიძლება არა მარტო კინოს საშუალებით. ოსაკის თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში, უშუალოდ საბჭოთა პავილიონის შენობაში გაიმართება დიდი თეატრის სპექტაკლები, ლენინგრადის სიმფონიური ორკესტრის, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის საკონცერტო ჯგუფების, თეატრალური და მუსიკალური კოლექტივების სოლისტებისა და მსახიობების გამოსვლები.

სსრ კავშირის პავილიონის დამთვალიერებლებს ბევრი სიურპრიზი ელით. მაგალითად, ისინი ნახავენ, თუ როგორ მოხატავენ ხოხლომელი და სემიონოველი ხელმარჯვე ოსტატები სუვენირებსა და სათამაშოებს, საქვეყნოდ განთქმულ პალეხის გალაქტიკ ნაკეთობებს. დაიდგმება სპეციალური ავტომატები. საკმარისია მონეტა ჩაუშვა, რომ ავტომატმა იქვე მოგვრას მედალი — სუვენირი, რომელზეც გამოსახული იქნება საბჭოთა პავილიონი და მისი ნახვის თარიღი.

12 აპრილს სსრ კავშირის ეროვნულ დღეს, 22 აპრილს, როცა გაიმართება ზეიმი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, მეცნიერების, ცომბირისა და მორეული აღმოსავლეთის სპეციალურ დღეებსა და სხვა დღეებში ლექციებ-საუბრებს გამართავენ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები, რომელთა სახელი ფართოდ არის ცნობილი ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ. ოსაკაში ჩადენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი აკადემიკოსი მ. დ. მილიონშჩიკოვი, აკადემიკოსები, ნობელის პრემიის ლაურეატები ნ. გ. ბასოვი და ნ. ნ. სემიონოვი, აკადემიკოსი ა. ნ. ნესმეიანოვი და სხვ.

როგორც მოსკოვის პრეს-კონფერენციაზე განაცხადა „ექსპო-70“-ზე სსრ კავშირის სექციის გენერალურმა კომისარმა, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ბ. ა. ბორისოვმა, საბჭოთა პავილიონი უნდა დაათვალიეროს სულ ცოტა 15 მილიონმა 50 მილიონი კაციდან, რომლებიც იაპონიის წინასწარი მონაცემებით, დაათვალიერებენ „ექსპო-70“-ს.

ნავარუუდევია, რომ ოსაკაში სსრ კავშირიდან ჩავა სულ ცოტა 10 ათასი ტურისტი.

საბჭოთა ექსპოზიცია მსოფლიო გამოფენაზე უჩვენებს ჩვენი დიადი ხალხის — ახალი საზოგადოების მშენებლის მიღწევებს, მის დაუცხრომელ ბრძოლას მშვიდობისა და უშიშროებისათვის, მის მისწრაფებას — განამტკიცებდეს მეგობრობასა და თანამშრომლობას მსოფლიოს ყველა ხალხთან, კარგი ურთიერთობა ჰქონდეს თავის მეზობელ იაპონიასთან. (საკდესი).

ამერიკის შეერთებული შტატები

სამარცხვინო გასამართლება

ნიუ-იორკი, 22 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ნ. პაზომოვი იუწყება:

ჩიკაგოში გრძელდება შვიდი მშვიდობის მომხრის „ხაქმის“ სასამართლო გარჩევა. მათ ამერიკის ხელისუფალნი აბრალებენ „შეთქმულებას არეულობის გამოწვევის მიზნით“ დემოკრატიული პარტიის ეროვნული ყრილობის დროს 1968 წლის აგვისტოში. განსასჯელთა სკამზე სხედან ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი მოღვაწენი მოძრაობისა ამერიკის შეერთებული შტატების ომის წინააღმდეგ ვიეტნამში დეკედ დელინჯერი, ტომ ჰეიდენი, რენი დევისი და სხვები.

სასამართლო პროცესზე ირკვევა სულ ახალ-ახალი გარემოებანი, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ჩიკაგოში დაწყებული არეულობის ნამდვილი გამომწვევი იყვნენ არა ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციათა მონაწილენი, არამედ ჩიკაგოს ხელისუფალნი. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა გ. პომეროიმ, მაგალითად, განაცხადა, რომ გამოსვლების ორგანიზატორებმა წინასწარ აცნობეს ქალაქის ადმინისტრაციას თავიანთი გეგმები მშვიდობიანი დემონსტრაციების მოწყობისა. „პასუხისმგებლობა ძალადობისათვის, რაც ყრილობის დროს მოხდა, უწინარეს ყოვლისა ეკისრება მერს რიჩარდ დეილს“, — თქვა პომეროიმ.

განსასჯელთა უფლების შელახვის მორიგ ცდას მიმართა ჩიკაგოს საოლქო სასამართლოს მოსამართლემ ჯ. ჰოფმანმა. რათა დაცვის ადვოკატებისათვის არ მიეცა შესაძლებლობა მოამზადებულიყვნენ მორიგი სხდომისათვის, მან გასცა განკარგულება შაბათსა და კვირასაც კი არ შეწყვეტილ სასამართლოს სხდომები. ასეთ „მეთოდებს“ მოსამართლე წინათაც მიმართავდა, როცა სამართალწარმოების ყველა ნორმის წინააღმდეგ ნებას არ აძლევდა განსასჯელებს თავისუფლად აერჩიათ დამცველები ან გამოსვლის უფლებას უსამოდა.

ჩიკაგოს ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციის ხელმძღვანელთა პროცესი დამაჯერებლად ცხადყოფს ამერიკული თიმიდის ანტიდემოკრატიულ არსს, რომელიც ამჯერად იდგმის მართლმსაჯულების ნორმებს, რათა დააშინოს ომის საწინააღმდეგო მოძრაობის მრავალი მონაწილე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ინდოეთი

ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობა

ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობა ბოლო ორი კვირის განმავლობაში ისეთ ფაზაში შევიდა, რომ ეს ორ ქვეყანას ომამდე ერთ ნაბიჯზე აყენებს.

ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობა ბოლო ორი კვირის განმავლობაში ისეთ ფაზაში შევიდა, რომ ეს ორ ქვეყანას ომამდე ერთ ნაბიჯზე აყენებს. ინდოეთ-ბანგლადეშის ურთიერთობა ბოლო ორი კვირის განმავლობაში ისეთ ფაზაში შევიდა, რომ ეს ორ ქვეყანას ომამდე ერთ ნაბიჯზე აყენებს. ინდოეთ-ბანგლადეშის ურთიერთობა ბოლო ორი კვირის განმავლობაში ისეთ ფაზაში შევიდა, რომ ეს ორ ქვეყანას ომამდე ერთ ნაბიჯზე აყენებს.

ბრალად ედგათ მკვლელობა

ნიუ-იორკი, 22 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ალბროვი იუწყება:

გამომძიების ფედერალურმა ბიურომ გამოაცხადა, რომ კლივლენდში (ოჰაიოს შტატი) დაუპატიმრეს ს�ი პირი — პოლ გილი, ობრინ მარტინი და კლოდ ვილეი, რომლებსაც ბრალად ედებათ მაღალრანგოვანი გაერთიანებული პროფკავშირის ერთ-ერთი ლიდერის ჯონეფ იაბლონსკის, მისი ცოლისა და ქალიშვილის მკვლელობა.

გამომძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის ე. ჰუვერის განცხადებაში, რომელიც ვაშინგტონსა და კლიველენდში ერთდროულად გამოაქვეყნეს, ნათქვამია, რომ გილი და ვილეი დაუპატიმრეს გუშინ, მარტინი კი დაპატიმრებულია ოყო მანამდე გატეხვით ქურდობისთვის.

გამომძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იაბლონსკის მკვლელობის საქმის გამომძიება გრძელდება, მაგრამ უარი თქვა განეცხადებინა რაიმე არსებობს თუ არა კავშირი სამ დაპატიმრებულსა და მაღალი ელთა გაერთიანებული პროფკავშირის რეაქციულ ხელმძღვანელებს შორის, რომელთა წინააღმდეგ იაბლონსკი გამოდიოდა.

ინგლისი

ინგლისელ ფეოდალთა ბრალდებულ სკამზე

ლონდონი, 22 იანვარი. (საკდესი). ინგლისელ ფეოდალთა ბრალდებულ სკამზე ამოსვლა

კომკავშირული ცხოვრება

ახალგაზრდობავ, საჭესთან!

ტექნიკა — ჩვენი მეგობარი

ყოველთვის, როცა კარგ მეგობარზე ჩამოვარდება სიტყვა, თვალები გაგიბრწყინდება და გინდა მასზე დაუსრულებლად, მთელი სიყვარულით ილაპარაკო. სწორედ ასეთი რამ გეუფლება მაშინაც, როცა შენს „რკინის მეგობარზე" შეგეკითხებიან ან თვითონ გსურს მასზე საუბარი წამოიწყო.

მანქანამაც, როგორც ადამიანმა, კარგად იცის დამეგობრება. განსაკუთრებით მაშინ, როცა აშკარად გრძნობ მის სიკეთეს, იმ დიდ დახმარებას, რითაც შენ და შენს თანამოსაქმეებს ძნელი შრომა გიმსუბუქდებათ, მრავლდება ადამიანთა ხვავი და ბარაქა.

აი უკვე მეხუთე წელია ვმეგობრობთ მე და ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" და ამ ხნის მანძილზე ერთმანეთისათვის არ გვიღალატნია. მაჩვენებლებიც ცუდი როდი გვაქვს. მარტო შარშან 30 ტონის ნაცვლად 50 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოვკრიფე და დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება სასახელოდ გავანაღდე. და განა მარტო მე? ჩვენი, გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ბაბუკები და ქალიშვილები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას რომ დაუმეგობრდნენ, თითქმის სასწაულებს ახდენენ. სწორედ ამიტომაც არის, რომ აჩიგვარელები, როგორც წინა წლებში, ახლაც არ ღალატობენ ტრადიციას და სულ უფრო ამრავლებენ წარმატებებს. მეურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივმა გასულ წელს არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად გადაჭარბებით შეასრულა ხარისხოვანი ჩაის კრეფის წლიური გეგმა: 3150 ტონის ნაცვლად მოკრიფა და დამუშავა 3215 ტონა.

ხშირად, როცა ჩემს ახალგაზრდულ ცხოვრების გზას გადავხედავ, მადლიერებით ვიხსენებ იმ ამხანაგებს, რომლებიც სკოლის მერხიდან ამ მეურნეობა-ტექნიკუმში მოხვლისთანავე გვერდში ამომიდგნენ და ალალი შრომის უადრი მასწავლეს. პირველ რიგში ეს ჩემი კომკავშირული ორგანიზაციაა, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა ჩემი და ასობით სხვა ახალგაზრდის აღზრდისათვის. სწორედ კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით ჩამოყალიბდა კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადა, რომლის ხელმძღვანელობაც მე დამეკისრა. ეს ბრიგადა ძირითადად კომკავშირელებით არის დაკომპლექტებული და მოწინავეა მთელ მეურნეობაში.

მახსენდება, როცა ჩვენს მეურნეობაში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" გამოჩნდა, მისი პირველი მესაე მამაჩემი იყო. ეს დიდ კმაყოფილებასა და სიამაყეს მგვრიდა. ყურადღებით ვაკვირდებოდი და ვსწავლობდი ამ მანქანას. მამასაც უხაროდა ჩემი ასეთი დაინტერესება და სკოლიასაგან თავისუფალ დროს მასთან ერთად ვატარებდი. რვაწლიანი სკოლა რომ დავამთავრე, მტკიცედ გადავწყვიტე მექანიზატორი გავხდარიყავი. ამ მიზნით ჩვენს ტექნიკუმში მექანიზაციის სპეციალობაზე დავიწყე სწავლა და თან პრაქტიკულადაც კვალიფიკაციას ვიმაღლებდი მეურნეობაში შექმნილ სპეციალურ კურსებზე.

ძნელია წარმოიდგინოთ, თუ რა კმაყოფილება ვიგრძენი, როცა პირველად დამოუკიდებლად მივუჯექი „საქართველოს" საჭეს! ეს იყო 1965 წელს, მაშინ მანქანით 8 ტონა ჩაის ფოთოლი მოვკრიფე. შარშან 11 ჰექტარ პლანტაციაში 50 ტონა ფოთოლი მოვკრიფე.

რა განაპირობებს ჩვენს წარმატებებს? როგორია აქ ტექნიკის როლი?

უნდა ითქვას, რომ ჩაის კულტურის კომპლექსური მექანიზაცია რთული, მაგრამ მეტად საინტერესო საქმეა. აქ ერთმანეთში შეზავებულია აგროტექნიკისა და ტექნიკის ღრმა ცოდნა. თუ აგროტექნიკა არ გესმის, კარგად მომზადებული ტექნიკა მოცდება, ხოლო, პირიქით, თუ ტექნიკას სათანადოდ ვერ იყენებ, მაშინ პლანტაცია მოცდება. სწორედ ამ ორ ცნებას ჩვენი ბრიგადის წევრები კარგად დავეუფლეთ, რაც წარმატების ერთ-ერთ მთავარ პირობად მიგვაჩნია.

ამ უკანასკნელ ხანს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მნიშვნელოვანი სასარგებლო ცვლილებები მოხდა. პარტიის XXIII ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა დასახეს ღონისძიებანი ეკონომიური სტიმულირების განვითარებისათვის, მეურნეობათა ეკონომიკის ამაღლებისა და განმტკიცებისათვის. შემოღებულია შრომითი ხელშეკრულების სისტემა და მკაცრი მატერიალური პასუხისმგებლობა ვალდებულების შესასრულებლად. ჩვენი მეურნეობა გადაუვანილია სრულ სამეურნეო ანგარიშზე. ყველა ეს ღონისძიება მიმართულია იმისაკენ, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმო, მისი კოლექტივი დაინტერესდეს პროდუქციის წარმოების გადიდებით, შრომითი და მატერიალური დანახარჯების ეკონომიით.

სწორედ კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადები, რომლებიც შრომითი ხელმეკრულების საფუძველზე მუშაობენ მეურნეობებში, ამართლებენ ამ მიზანს. ჩვენთან კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადები ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს" წარმოებაში დანერგვის შემდეგ შეიქმნა. მანქანამ, რომელიც აგროტექნიკურ მოთხოვნებისაც კარგად აკმაყოფილებს, საბოლოოდ შეუმსუბუქა მძიმე შრომა მეჩაიე ქალებს. საგულისხმოა, რომ გასულ სამეურნეო წელს თვითეული კოლოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა ხელით 26 კაპიკი დაჯდა, ხოლო მანქანით — 8 კაპიკი. მარტო მე 50 ტონა ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფით მთელი სეზონის განმავლობაში 80 მკრეფავი გამოვათავისუფლე.

მიმდინარე წელს პირველად ჩვენს მეურნეობაში და მთელს რესპუბლიკაშიც კი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით იქმნება კომკავშირულ-ახალგაზრდული კომპლექსური მექანიზაციის ქალთა ბრიგადა, რომელსაც მე უნდა გავუწიო ხელმძღვანელობა, მასში სამი კომკავშირელი გოგონა გაერთიანდებით.

დიადი ლენინური იუბილესათვის რომ ვემზადებით, გადავწყვიტე შარშანდელთან შედარებით ჩაის ფოთლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 800 კილოგრამით გავადიდო, ხოლო მთელი სეზონის განმავლობაში „საქართველოთი" მოვკრიფო და სახელმწიფოს ჩავაბარო 55 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. საამისოდ კი კარგ წინაპირობებს ვქმნით. ბრიგადის პლანტაციებში სრულყოფილად ჩავატარეთ საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები, დამთავრებულია პლანტაციის ღრმა გაფხვიერება და გადაბარვა, შეტანილია მინერალური სასუქები.

ამ დღეებში კვლავ ახალი ვალდებულება ვიკისრე. წელს ორ ჰექტარ ამხანაგ ქალიშვილს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს" მართვა უნდა შევასწავლო. ამასთან ჩვენი რესპუბლიკის ქალიშვილებსა და ჰაბუკებს მოვუწოდებ უფრო გაბედულად მოპკიდონ ხელი მანქანის საჭეს, დაუმეგობრდნენ ტექნიკას, შეიყვარონ იგი.

მოდით გავუფფოთ შრომა ჩვენს დედებსა და დებს, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, ვაწარმოოთ სოფლის მეურნეობის მეტი პროდუქტები, ვამრავლოთ სამშობლოს ხვავი და ბარაქა!

ნაზიბროლა ხასაია,
გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს" მძღოლი.

* * *

სურათზე: მეჩაიე-მექანიზატორი ნაზიბროლა ხასაია.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქ-დისის ფოტოქრონიკა).



პროფკავშირთა რესპუბლიკური კონფერენციები

გაიმართა საქართველოს დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კონფერენციები. დელეგატებმა მოისმინეს პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტებისა და სარეკვიზიო კომისიების საანგარიშო მოხსენებანი.

კონფერენციებმა აირჩიეს პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტებისა და სარეკვიზიო კომისიების ახალი შემადგენლობანი.

კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია **ა. კარგარეთელი**, მდივნად — **ა. მამულაშვილი.**

გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ — **შ. გეგეჭკორი.**

საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ — **გ. უმაწკოშვილი**, მდივნად — **მ. სურმავა.**

მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ — **ი. ჭუმბურიძე**, მდივნად— **ჯ. რაზმაძე.**

ხე-ტყის, ქაღალდისა და ბიბლიოთეკა

დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ — **გ. ბელაშვილი**, მდივნად — **ფ. შატბერაშვილი.**

საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატაქსელების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ — **ი. კაკაშვილი**, მდივნად — **დ. ჯიჯეიშვილი.**

ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ — **გ. პოლოლიკაშვილი**, მდივნად — **თ. კოკაბინაკია.**

მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ — **გ. ცხოვრებაშვილი**, მდივნად — **ი. თულაშვილი.**

საფეიქრო და მხუთუჭი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ — **ვ. დავთაძე**, მდივნად — **ე. ლორთქიფანიძე.**

ავიაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ — **ი. ბურდული**, მდივნად **რ. კორძაია.**

კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ — **ნ. ხასაშვილი**, მდივნად — **თ. სანაკოევა.**

ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ — **ნ. ბაიერაძე**, მდივნად — **ა. ალავიძე.**

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ — **ნ. ვაშაძე**, მდივნად — **შ. ლაბუანია.**

ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ — **ვ. ყიფიანი**, მდივნად — **ა. ბალასანოვი.**

მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ — **დ. ცირეკიძე**, მდივნად — **ნ. ქოთამაძე.**

ამიერკავკასიის რკინიგზის პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარედ — **ა. გომიაშიძე**, მდივნად — **ბ. სოგბეტოვი.**

ᲛᲘᲡᲮᲔᲚᲝᲑᲔᲑ ᲙᲘᲜᲝᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ

თბილისში ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა თემას „ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის განვითარების გზები და მისი ამოცანები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა. და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით".

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სამხატვრო ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გ. ასათიანმა. მოხსენება გააკეთა სატელევიზიო ფილმების სტუდიის რეჟისორმა გ. ევანიამ.

კამათში გამოვიდნენ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები—კინოდრამატურგი კ. გოგოძე, კინოდოკუმენტალისტები რ. ჭიკოვერელი, შ. ჩაგუნავი, რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი ოპერატორი ი. აკიბეგაშვილი, ოპერატორი ო. მაკაკიანი, საქართველოს სსრ. მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სასკენარსაწარმოო სამმართველოს უფროსი ინსპექტორი ა. სიგუა, მეცნიერულ-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის მთავარი რედაქტორი მ. სალუქვაძე, სტუდიის რედაქტორები ნ. დოლიძე, ა. ხუჩუა, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი რედაქტორის მოადგილე კ. წერეთელი, ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კ. ბეკეკია.

პლენუმზე გამოვიდნენ კიევის ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიის მთავარი რედაქტორი ვ. კლინჩენკო, კიევის მეცნიერულ-პოპულარული ფილმების სტუდიის რეჟისორები ბ. დუბრავინი, კ. პოგოდინი, ე. გოლოვნია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის რედაქტორი ვ. ბელაკოვი, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის კინოდრამატურგიის სრულიად საკავშირო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ბ. დობროდეევი, ლატვიის დოკუმენტალისტთა წარმომადგენელი ა. გრიბერმანი, ბელორუსია — ა. ვაგუნი, აზერბაიჯანისა — ო. მარკასოვიჩი, ესტონეთისა — ვ. გორბუნოვი.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს მაყურებლის იდეური აღზრდის; კომუნისტური მორალის პრინციპების პროპაგანდის საკითხებს. უკეთ უნდა გამოვაყენოთ დოკუმენტური კინოს შესაძლებლობანი მაყურებლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის, მისი აღზრდისათვის ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებებისადმი შეუფერებლობის სულისკვეთებით. უფრო ფართოდ და დამჯერებლად უნდა გავუწიოთ პროპაგანდა მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებს.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ხარაძე.**

პლენუმმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. (საქდისი).

ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗᲘᲗ

კარლო კალაძის ორტომეულის გამო

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" ორ ტომად გამოსცა კარლო კალაძის რჩეული ლექსები და პოემები.

პირველი ტომი იხსნება ლექსებით, რომლებიც დაწერილია ორმოცზე მეტი წლის წინათ, 1926 წელს; მეორე ტომს ამთავრებენ ნაწარმოებები, რომლებიც ახლახან გამოქვეყნდა. ამრიგად, ჩვენს წინაშეა ვრცელი პოეტური სამყარო, რომელიც, ამავე დროს, მეტად საინტერესო და თავისებურია. ამ წიგნებში, პოეტისაკენ სიტყვით რომ ვთქვათ, მთელი „მისი სიცოცხლეა", მისი „ცხოვრების ამბავი, ფიქრი და გულისთქმა". მაგრამ ეს მარტო ერთი კაცის, ერთი მწერლის სიცოცხლე არ არის; ამ წიგნებში ოვით ჩვენი დრო მეტყველებს, აქ საუკუნის სუნთქვა გვესმით, მისი მოთქმაც და სიხარულიც, მისი დარდიც და ზეიმიც.

აქ თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კარლო კალაძის ლექსი, მთელი მისი პოეზია ფართოდ დამტკიცდა და ბევრ სათქმელს მოიცავს. მასში ჩაეტია და გამოიხატა ქართველი კაცის მთელი გულღიობა, მისი კეთილი სული, მისი ტრფიალება მაღალი საკაცობრიო იდეალებისადმი, მისი პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი. პოეტებს პირველებს გააქვთ თავიანთი ქვეყნის სახელი მსოფლიოში. და კ. კალაძეც ერთი პირველთაგანია იმ პოეტებს შორის, ვისაც თამამად შეუძლია თქვას, რომ მის გულში მკვიდრი ბინა უნახავს თავისი ხალხის სიხარულსაც და ტკივილსაც, მის შრომრთებასაც და თავგანწირულებასაც, მის მაღალ აზრს, მის კეთილ გრძნობას, მისი სულის სილამაზეს, სიმდიდრეს, ყველაფერს, რასაც კი ხალხი და სამშობლო თავის პოეტს მიამადლებენ ხოლმე.

კარლო კალაძე ცნობილი პოეტია; მაგრამ ერთია, როცა ამ ლექსებს ცალკალკე კეთხულობდით, ჟურნალ-გაზეთებში თუ კრებულების სახით, და მეორეა — როცა ეცნობი ასეთი მოლიანი სახით, როცა ორივე ტომს გულდასმით გადაიკითხავთ. დახურავთ წიგნს და მეხსიერებაში რჩება უთვალავფეროვანი სამყარო, ცოცხალი, გაღვიძებული, მუდამ მბორგავი, ხმაურიანი და შფოთიანი; მეხსიერებაში რჩებიან სახეები, ხმები, შეძახილები, სურათები, ძალიან მკვეთრი, თვალისმომჭრელი, ძირითძირობამდე რომ აფორიაქებენ მკითხველის სულს...

აქ არ შეიძლება გულგრილი დარჩე, პოეტი ეძახის მკითხველს, იმორჩილებს, მიმყავს თავისკენ, ლაჩრ სივრცეებსა და მწვანე ხმელეთზე, ტრიალ მინდვრებსა და დიდ ქალაქებში. აქ ზუზუნებენ მაღალი ანძები და ფოთლებში ფრთხიალებენ ჩიტები, აქ გადარეული ენეგერი ღრიალებს და საღაცარი ის არის, რომ ეს ზარიანი ჭექა-ქუხილი ვერ ჭფარავს და ვერ ახშობს პატარა ღაბუა ჩიტის კრიმანჭულს, უბეში რომ ჩამხტარა და წყალს ისხურებს. „თანაც მე ეშმაკ თვალს არ მაცილებს, მანდაწნა რომ ჩემი დარდის ტალღა, ვუყქერი, ვუყქერი და მეც ამიყოლია, და სადაც არის—მეც გამაცინებს. მაშ რაღა ვყოფილვარ, დიდი, სულ დიდი, ერთი პატარა ღაბუა ჩიტი!" აქ წაშლილია საზღვრები დიდსა და პატარას შორის, ჭადარსა და ლერწამს, ზღვასა და ბუბეს, კაცსა და ფრინველს შორის — ყველანი ერთი დედის, მწვანე დედფფლის — გაზაფხულის შვილები არიან, და პოეტიც ყველას ეფერება და ვანაყვანულებს, უნდა რომ ყველას მიესალმის. გამოოკაბარაკოს, გაეცინოს და სიყვარული აუსხნას.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა, პოეზია უცნაური ბაღლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაეიაო. ამ მადლს შეეტი გამოკონის უნივერსიტეტის სისხლიან ნაკვალევს. ისინი ახალი ომის გაჩაღებისათვის არ თაკილობენ არავითარ საშუალებას. ასე იქცეოდენ ფაშისტებიც, მაგრამ ისტორია მკაცრი მსაჯული აღმოჩნდა. ასე იქნება მომავალშიც. იმპერიალიზმის იდეოლოგიური და სამხედრო დივერსია საბოლოო ანგარიშით კი ვერ ასუსტებს, არამედ უფრო ჯანამტკიცებს სოციალიზმისა და მშვიდობის ძალებს.

წიგნი რედაქტირებული (რედაქტორი პროფესორი გ. ევანია) და გამოცემულია კარგად. მას აქვს გერმანულ ენაზე გაკეთებული რეზიუმე.

გ. ნაპეტვრეა.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲐᲠᲐ, ᲐᲠ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲓᲔᲑᲐ

Ა. ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ 1941-1945 ᲬᲬ. (რუსულ ენაზე) საქართველოს კპ ც. კ.-ის გამომცემლობა. 1969 წ.

გაპა კიდევ რამდენიმე თვე, და მეოთხედი საუკუნე შესრულდება მას შემდეგ, რაც დამთავრდა დიდი სამამულო ომი. კაცობრიობის მატიანეში არასოდეს არ წაიშლება საბჭოთა ხალხის სწორუპოვარი გმირობა, მისი ფასდაუდებელი წვლილი ჰიტლერელ ფაშისტთა და იაპონელ იმპერიალისტთა განადგურებაში.

წლები გავიდა. ეამთასვლის სინჯარაში დაილეკა მოვლენები. მაგრამ არავინ და არაფერი დავიწყებული არ არის. ისტორიას აქვს თავისი ურყევი კანონი: მას ვერც ვერაფერს მიუმატებ და ვერც ვერაფერს დააკლებ. ამიტომაც აქ საბოლოოდ არასოდეს არ რჩებიან ძალად გაზვიადებული მოვლენები, მის სარბილზე ყურით მოთრეული გმირები. და ეს ჭეშმარიტება ერთხელ კიდევ ნათლად ჩანს ბ. ცქიტიშვილის წიგნში „ამერიკავკასია დიდი სამამულო ომის წლებში 1941-1945 წწ.".

კითხულობ ამ წიგნს და თავიდანვე ფურადღებას იპყრობს აზრის სიცხადე, საკვლევი პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალობა, გაბედული და ჭეშმარიტი დასკვნები, რომლებიც შუქს ფენენ დიდი სამამულო ომის ისტორიაში ამიერკავკასიის ხალხთა წვლილს. მართალია, როგორც ავტორი წიგნის შესავალშივე აღნიშნავს, ამ თემაზე ბანამდე გამოსული ყოფილა არაერთი წიგნი, მაგრამ ზოგიერთ მათგანში სუბიექტივიზმის მიზეზით ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა ცალმხრივად იყო გაშუქებული ან ცალკეული მთავარი მომენტები უკანა პლანზე იყო გადაწეული და ნებისით თუ უნებლიეთ დაჩრდილული. ამიტომ მკითხველი ამაყოფილებით ხვდება წიგნის ავტორის მიერ ისტორიის ფალსიფიკაციორთა პრინციპიულ კრიტიკას, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერულ არგუმენტაციაზე.

კრიტიკის ძირითადი მახვილი ავტორს მომარჯვებული აქვს თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც ყოველმხრივ ეაყალბებენ მეორე მსოფლიო ომის ნამდვილ ისტორიას და ცდილობენ დაავნინონ ამ ომში სსრ კავშირის გადამწყვეტი როლი. და რა სასაამოვნოა, რომ მკითხველი წიგნში პოულობს საარქივო დოკუმენტებიდან, მეშვარული ლიტერატურიდან, იმ დროის პერიოდიკიდან აღებულ მათრახავით მოქნეულ სტრიქონებს, რომლებიც წვავენ და ფანტავენ სიცრუეს, რათა ობიექტური ჭეშმარიტების ნათელით გაშუქდეს საბჭოთა ხალხის სახელოვანი წარსული, განვლილი და განცდილი.

ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიულ და რევოლუციურ წარსულს, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას და ამიერკავკასიის ხელოვნურად წონას სსრ კავშირის ეკონომიკაში, ამ მხარის სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას და სხვა საკითხების გაშუქებას ეძღვნება წიგნის პირველი თავი—„ამიერკავკასია სამამულო ომის წინ". ავტორი დასაბუნის, რომ კავკასია თავიისი გეოგრაფიული მდებარეობით მუდამ იყო საკვანძო სტრატეგიული ადგილი ევროპის, აზიის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. აგრესიული სახელმწიფოები მას ყოველთვის უთვალთვალებდნენ, როგორც მთავარ გასასვლელ კარს თავიანთი ვერაგული მიზნების განხორციელების გზაზე. უდავოდ ეს ამოძრავებდა გერმანელ ფაშისტებს, როცა მთელი ძალით მოიწევდნენ კავკასიისაკენ. მაგრამ კეთილ ნების ადამიანთა საბედნიეროდ იგი წარსულისაგან განსხვავებით XX საუკუნის ჰუნებსა და ვანდალებს მტკიცედ ჩარაზმული დაუხვდათ ხალხთა ლენინური მეგობრობის ძალით.

ავტორი საინტერესოდ აწვდის მკითხველს უამრავ დოკუმენტურ მასალას, რომელიც ამხილებს ჰიტლერელ დამპყრობთა ვერაგულ გეგმებს კავკასიაში. გერმანელმა ფაშისტებმა თავიანთი ვარაუდით წინასწარ დაყვეს ჩვენი ქვეყანა ოთხ რაიხკომისარიატად. მათ შორის ერთი იყო კავკასია. ასევე წინასწარ დანიშნეს თბილისში რაიხსკომისრის თანამდებობაზე ესესელთა გენერალი ანნო შეედანეი! ასევე წინასწარ შექმნეს ნავთობის დამუშავებისათვის კონტინენტური საკეცი საზოგადოება. გერინგის სიტყვებით, „ბანზრახული იყო ნამდვილი „ძარცვა, სახელდობრ ეფექტური". წიგნის მეორე თავში კითხულობ ფაშისტების ასეთ აღმაშფოთებელ ფაქტებს ამ ყბედობ: რას გადაურჩა ჩვენი სამშობლო, რაოდენ დიდია წვლილი საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელმაც თავის მკრეხზე გადაიტანა ფაშიზმის განადგურების მთელი სიმძიმე! წიგნის ავტორის დასმასურება სწორედ ის არის, რომ იგი ყოველივე ამას გადმოგვცემს საქმის ღრმა ცოდნით და, რაც მთავარია, ნათლად, გასაგებად.

ამიერკავკასიის ხალხთა გმირობას, მათს მამაცობას ფრონტზე და ზურგში, მტერზე გამარჯვების უზრუნველყოფაში საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული როლს ეძღვნება წიგნის მესამე და მეოთხე თავები. ეს ორი თავი წიგნის მთელი შინაარსის ღერძია. აქ ავტორი ეხება იმას, თუ როგორ ფეხზე დადგა მთელი კავკასია დევნილთ: ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის, როგორ ხდებოდა ეროვნული შენაერთების ფორმირება, როგორ იქმნებოდა გამანადგურებელი ათასეულები, სამხედრო ჰოსპიტლები და სხვ. რა როლს ასრულებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობა, რკინიგზა და კასპიის ზღვის ტრანსპორტი სამამულო ომის დროს, როგორ მიმდინარეობდა ზურგში და ფრონტისპირა ხაზებზე თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა და სხვ.

წიგნის მარტო მეოთხე თავი შეიცავს თერთმეტ პარაგრაფს, რომლებიც მიძღვნილია ისეთი საკითხებისადმი, როგორიც არის ფაშისტთა იერიშების მარცხი გრროზნის ნავთობის სარეწების რაიონში, ჰიტლერელთა ჯარების დამარცხება კავკასიონის ქედის მთავარ გადასასვლელებზე, გერმანელთა პირველი სატანკო არმიის განადგურება ორჯონიკიძის მისადგომებთან, პარტიზანული მოძრაობა კავკასიაში და ამიერკავკასიის ხალხთა მეალეების მონაწილეობა სსრ კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე პარტიზანულ მოძრაობაში, ჰიტლერელთა სტრატეგიის კრახი კავკასიაში და სხვ. ავტორი ყველა ამ საკითხის გადმოცემაში ავლენებს ფართო ჰორიზონტს, იგი შესანიშნავად ფლობს რთული პრობლემების გამოკვლევის მეცნიერულ ხერხებსა და მეთოდებს.

კ. ცქიტიშვილი წიგნში სამამულო ომთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს არა ცალცალკე, ერთმანეთისაგან მოწყვეტით, არამედ ურთიერთმტკიცე კავშირში. ეს კი ნაშრომს ძალუძს ლოგიკურ თანმიმდევრულობას, დამაჯერებლობასა და სიცხადეს. მკითხველი კონკრეტულ მაგალითებზე აგებული მსჯელობით გრძნობს, თუ რას ნიშნავდა მაშინ საქმით ზურგისა და ფრონტის ერთიანობა, მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის მონოლითურობა, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის ნამდვილად ცხოველმყოფელი პატრიოტიზმი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი ფაშისმზე გამარჯვების უზრუნველყოფაში. ეს კი უფრო ნათლად წარმოგიდგება მამინ, როცა კითხულობ ამ წიგნის მეხუთე თავს. აქ ცალცალკე პარაგრაფებია ლაპარაკი, როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამხედრო ეკონომიკაზე, ისე მეცნიერებისა და სახალხო ინტელიგენციის პატრიოტულ საქმეებზე, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის მშრომელთა დასმარებაზე ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონებისადმი, ლაპარაკია ფრონტელთა ოჯახებისა და ომის ინვალიდებისათვის ზრუნვაზე, ფრონტზე და ზურგში პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაზე, ბოლოს იმაზე, თუ როგორ იწრთობოდა დიდი სამამულო ომის ქურაში ხალხთა ინტერნაციონალური ძმობა.

ბრძნული ნათქვამია, რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია. მართლაც, ხალხთა ძმური სიყვარულის ძალით დაიწყო ჩვენი ქვეყნის ფერფლად ქცეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენა, ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშება, დანგრეული სახალხო მეურნეობის ფეხზე წამოყენება. ავტორი ამ საკითხებს ეხება წიგნის ბოლო თავში. მაგრამ წიგნის ყველაზე საინტერესო და დასაფასებელი ღირსება ის არის, რომ იგი დაკავშირებულია თანადროულობასთან. ავტორი აღნიშნავს, რომ აგრესიის ძალებს დაავიწყდათ ისტორიის გაკვეთილი და კვლავ ადგანან ჰიტლერის სისხლიან ნაკვალევს. ისინი ახალი ომის გაჩაღებისათვის არ თაკილობენ არავითარ საშუალებას. ასე იქცეოდენ ფაშისტებიც, მაგრამ ისტორია მკაცრი მსაჯული აღმოჩნდა. ასე იქნება მომავალშიც. იმპერიალიზმის იდეოლოგიური და სამხედრო დივერსია საბოლოო ანგარიშით კი ვერ ასუსტებს, არამედ უფრო ჯანამტკიცებს სოციალიზმისა და მშვიდობის ძალებს.

წიგნი რედაქტირებული (რედაქტორი პროფესორი გ. ევანია) და გამოცემულია კარგად. მას აქვს გერმანულ ენაზე გაკეთებული რეზიუმე.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ,
28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1970 Წ.

ვიგზაურიზა ზოგო